

მაშ ასე, კვირას ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში სტარტი მიეცა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალს. რამდენიმე საათით ადრე ვასილ ლევსკის სახელობის ასპარეზზე ინტერნაციონალი სავსე იყო. და აი, დადგა საზეიმო წუთებიც. ვიტოშის მთის მხრიდან გამოჩნდა სამი თვითმფრინავი, რომლებსაც მოჰქონდათ წითელი დროშები და ვეებერთელა ტრანსპარანტი წარწერით: „სოლიდარობისთვის, მშვიდობისა და მეგობრობისთვის!“.

იხსნება სტადიონის კარი და მინდორზე შემოდის სამხედრო ორკესტრი. სოფიის შემოგარენიდან ისმის საარტილერიო ბატარეის 9 ბათქი—სიგნალუკის IX მსოფლიო ფორუმის პატივსაცემი სალუტი.

კოლონების სვლა გახსნეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამის დელეგაციებმა. ეს უფლება ერთსულოვნად დაეთმო გმირ ვიეტნამელებს, ვიეტნამის პრობლემა ფესტივალის მთავარ თემას წარმოადგენს. ამის შემდეგ ანბანის რიგით დაიწყეს სვლა დანარჩენი ქვეყნების დელეგაციებმა. გამოჩნდა სსრ-კავშირის ჯაბუკებისა და ქალიშვილების 800-კაციანი კოლონა. ორკესტრი უკრავს საყოველთაოდ ცნობილ მარშს „დიდია ჩემი სამშობლო“. საზეიმო მსვლელობას ტრადიციულად სურავენ მასპინძელი ქვეყნის — ამჯერად, ბულგარეთის ახალგაზრდები.

ისმის მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი. აფრიალდა ფესტივალის დროშა. ტრიბუნებზე მსხდომნი ფეხზე დგებიან. დიდებულად ჟღერს ბულგარეთის სახელმწიფო ჰიმნი.

სტადიონზე შემოგრიალდა მოტოესტაფეტა საფესტივალო ცეცხლით. ბულგარეთიდან ჩამოტანილი მეშახტის ლამპიდან ანთებენ 8 ჩირაღდანს. შემდეგ ჯუჯები მიემართებიან სამხრეთ ტრიბუნებისკენ, სადაც აღმართულია საფესტივალო ცეცხლის თასი. ცეცხლის ანთების უფლება ეძლევათ თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიურ ჩემპიონს ბ. რადევს და მის ასისტენტებს, სახელგანთქმულ ბულგარელ ტანმოვარჯიშე ქალებს მ. გიგოვასა და ნ. რობევას. ფესტივალის ცეცხლი დაინთო!

სტადიონზე დაიწყო სპორტული პროგრამა.

ყველა გზა სოფიაში მივიდა.
(„ნაროდენ სპორტი“, ბულგარეთი).

ჩირაღდანი აანთო ოლიმპიურმა ჩემპიონმა

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სსრ

№ 148 (3632)

30 1968 წ. ივლისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

ჯამოცემის 24-ე წელი.

კანგასნიემის საოცარი რეკორდები

პორი, 28 ივლისი. ფინეთის სამხრეთ დასავლეთში მდებარე ამ ქალაქში ქვემძიმე წონის ძალოსანმა კ. კანგასნიემმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა სამჭიდში — 515 კგ (172,5 + 155 + 187,5). ეს 2,5 კილოგრამით აღემატება საბჭოთა ძალოსან ი. ტალტსის წინანდელ რეკორდს.

ფინელი პოლიციელი ამითაც არ დაკმაყოფილდა — დამატებით ცდაზე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: აჭიმა 175,5 კგ.

სტუმრის საჩუქარი

მოსკოვი, 28 ივლისი. „დინამოს“ მძლეოსანთა შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა მოსკოველთა სტუმარმა, კრასნოდარელმა ლ. ბრაგინამ. გუშინ მან ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში— 4.17,0.

ორი გამარჯვება

კიევი, 29 ივლისი (ტელეფონით). აქ გრძელდება ახალგაზრდა მოცურავეთა საკავშირო ტურნირი „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. 100 მეტრზე ბრასით ცურვაში დიდ წარმატებას მიაღწია 14 წლის კრასნოდარელმა ლ. რუსანოვამ, რომელმაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — 1.19,2.

ორ სახეობაში გამარჯვება თბილისის „დინამოელებმა“ დაისაკუთრეს: 50 მეტრზე გულაღმა ცურვა მორგო თინა ლეკვეიშვილმა (32,1), 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — ვ. გონჩაროვმა (1.01,1).

სამი პრიზიორი

ლენინგრადში ძმები ზნამენსკების საერთაშორისო მძლეოსნურ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა სვერდლოვსკელი გ. აგაპოვი, რომელმაც მსოფლიოს ახალი მიღწევით დაამთავრა 20 კმ-ზე სპორტული სიარული. მისი დროა 1:25.21,4.

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) — გ. აგაპოვი (I ადგილი), ბ. ხროლოვიჩი (III ადგილი) და ვ. გოლუბნიჩი (II ადგილი).

ტელეფოტო ზ. ბაიცუროვასი (საკდესი).



წლეულს კარგ სპორტულ ფორმაშია „ბადროს“ ტყორცნაში საქართველოს რეკორდსმენი, თბილისის „დინამოელი“ გ. გუდაშვილი. ამაის წინათ ლენინგრადში სსრ კავშირის, გდრ-ისა და პოლონეთის ნაკრები კოლექტივების მატჩზე იგი პირად ჩათვლაში გამოდიოდა, ბადრო 58 მეტრს იქით ტყორცნა და სულ ცოტა დაკლდა საკუთარი რესპუბლიკური რეკორდის გაუმჯობესებამდე. გუშინწინ კი თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, სადაც ამ საზოგადოების იუნიორთა ტურნირი მიმდინარეობს, უკონკურსოდ მოსპარეზე გუდაშვილმა მიზანს მიაღწია — 59,16 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ეს შედეგი 80 სანტიმეტრით აღემატება ძველ რეკორდს.

სურათზე: გუდაშვილი სარეკორდო ტყორცნისას.

ფოტო ს. კოტორაშვილისა.

ვარდო — ფინიშთან პირველი

გუშინწინ მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის იუნიორთა ჩემპიონატი მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში სპორტსაზოგადოებისა და უწყებათა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. პირველსავე დღეს შესანიშნავად იასპარეზა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ვარდო ქუთათელაძემ („ლოკომოტივი“), რომელმაც 100 მეტრზე რბენის ფინალში ყველა მეტოქეს სძლია და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მან ეს დისტანცია 11,8 წამში გაირბინა.

თბილისელი სპორტსმენი სპეციალისტებს ოქროს მეორე მედლის კანდიდატადაც მიაჩნიათ: ქუთათელაძეს 200 მეტრზე რბენაშიც უწინასწარმეტყველებენ გამარჯვებას.



◆ **იბსენ (ავსტრია)**, 29 ივლისი. აქ დამთავრდა სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადა. მთავარი ფინალური ტურნირი ქულათა თანაბარი რაოდენობით (24,5) დაამთავრეს სსრ კავშირისა და გერმანიის უფედერაციული რესპუბლიკის გუნდებმა. კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით უპირატესობა მიენიჭათ საბჭოთა მოჭადრაკეებს. III ადგილზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიელები — 20,5 ქულა.

◆ *ალმა-ათა (საფრანგეთი)*, 29 ივლისი. საბჭოთა ჩოგბურთელებმა ა. ერემეევამ, ო. მოროზოვამ და რ. ისლანოვამ ანი სუბის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში აქ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი. ეს ტრადიციული შეჯიბრება ფაქტიურად ევროპის ჩემპიონატია არა უმეტეს 20 წლის ასაკის ჩოგბურთელი გოგონებისთვის.

საკავშირო სპორტკავშირში

IX პროფკავშირული...

ამას წინათ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება პროფკავშირთა მორიგი, IX საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადის ჩატარების თაობაზე. სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები გაიხსნება გაისად, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს—9 აგვისტოს, მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. ცნობილია ისიც, რომ სპარტაკიადის ცალკეულ სახეობებში ტურნირები გაიმართება სხვ კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფკავშირთა IX საზაფხულო სპარტაკიადას, როგორც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ ღონისძიებას, სპორტული რეზერვის დათვალიერების საუკეთესო საშუალებას. სპარტაკიადის ორგანიზებულად გამართვისთვის სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო სათანადო დადგენილება, რომელიც სპორტკავშირების რესპუბლიკურ, საოლქო, სამხარეო საბჭოებს ავალებს:

აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროფკავშირთა IX საზაფხულო სპარტაკიადის მომზადებასა და ჩატარებაში, მიაღწიონ სპორტში მოსახლეობის, მშრომელი და მოსწავლე ახალგაზრდობის უფრო ფართოდ ჩაბმას, მათი სპორტული დონის ამაღლებას;

სპორტკავშირებმა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დახმარება აღმოუჩინონ პროფკავშირების საბჭოებსა და კომიტეტებს, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოებს ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადებისა და ზაფხულის სახეობებში შეჯიბრებათა მაღალ დონეზე გამართვაში, რომ ტურნირში მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა;

დახმარება გაუწიონ არსებული სექციების მუშაობის გაუმჯობესებასა და ახალი სექციების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ღონისძიებებს მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტსა და სპორტულ თამაშებში, სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას;

იზრუნონ საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების აღზრდისთვის სოფლის ფიზკულტურის კოლექტივებში მწვრთნელების, მასწავლებლების, საუკეთესო სპორტსმენების მივლინებისთვის, რომლებიც ადგილობრივ ორგანიზაციებს დაეხმარებიან სასწავლო მუშაობის ორგანიზებასა და შეჯიბრებების გამართვაში.

სპორტკავშირებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს მხედველობიდან არც სპორტნაგებობათა მშენებლობა და აღჭურვა უნდა გამორჩეთ. წესრიგში უნდა მოიყვანონ სტადიონები, სპორტული დარბაზები, აუზები და სხვა ნაგებობანი საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, კოლმეურნეობებთან, სასწავლო დაწესებულებებთან, საცხოვრებელ კვარტალებთან.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა ცალკეულ სახეობათა ფედერაციებს დაავალა ფართო საზოგადოებრივი აქტივი ჩაებან პროფკავშირთა IX საზაფხულო საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადებაში, დაეხმარონ სახეობების მიხედვით შერჩევაში.

„სოვეტსკი სპორტის“, რესპუბლიკების სპორტული ყურნალ-გაზეთების რედაქციებს დაევალათ ფართოდ გააშუქონ საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების გამოცდილება, მასობრივი შეჯიბრებების, ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა ფართო მასების მიზიდვის, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების საქმეში.

საქართველოს პროფსაბჭოში

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილა პროფკავშირების IX საკავშირო საზაფხულო სპარტაკიადის ჩატარების საკითხი.

რესპუბლიკური სპარტაკიადის მაღალ დონეზე გამართვისა და საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს გუნდის წარმატებით გამოსვლის მიზნით მიღებულია სათანადო დადგენილება, რომლის ცხოვრებაში გატარებისთვის შეიქმნა სპორტული შტაბი. შტაბის უფროსად დაინიშნა საქართველოს პროფსაბჭოს განყოფილების გამგე ი. ჩოჩია, მოადგილეებად — „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე და საქართველოს პროფსაბჭოს ინსტრუქტორი ლ. ანდღულაძე, შტაბის წევრებად: „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. კორინთელი, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. კაჭახიძე, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულენტი, „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. კირვალიძე, პროფსაბჭოს მეთოდისტი დ. ჯალიაშვილი და პროფსაბჭოს ინსტრუქტორი ო. ზებულაშვილი.

სპორტიზო ადგილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლახან მოსკოვში გაიმართა ფინალური შეჯიბრება ავტომობილისტთა მრავალჯიდში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I საკავშირო თამაშების პროგრამით. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები. საქართველოს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლებმა III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგემ, ნაკრების საზოგადოებრივმა მწვრთნელმა გ. ხოშტარიამ მოგვითხრა ავტომობილისტთა ამ ასპარეზობაზე.

— თვითეულ გუნდში ორი სპორტსმენი შედიოდა. საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ რესპუბლიკის ჩემპიონი ამ სახეობაში, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის შოფერი ჯ. მინაძე და ავჭალის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის შოფერი ვ. ლევშინი.

შეჯიბრება დაიწყო ფიგურული სვლით. აქ კარგად გამოვიდა ლევშინი, რომელმაც IV ადგილი დაიკავა. მინაძეს ბედმა უმტყუნა. ერთ მომენტში იგი დაიბნა, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და XXII ადგილს დასჯერდა. პირველი დღის შემდეგ საქართველოს გუნდი VII ადგილზე იყო.

მეორე დღეს გუნდები საწვავის ეკონომიაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. აქ უკვე მინაძემ V ადგილი დაიკავა, ლევშინმა — XV. შედეგების ჯამით ამ დღეს ჩვენი გუნდი IV ადგილზე გავიდა, ხოლო ორი დღის ჯამში მეშვიდედან III ადგილზე გადავინაცვლეთ.

პროგრამის ბოლო სახეობა მძლეოსნობა იყო. საქართველოს სპორტსმენებმა დაწესებული ნორმატივები (ყუმბარის ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა და კროსი 1000 მეტრზე) წარმატებით ჩააბარეს და საბოლოოდ გუნდური III ადგილი დაიკავეს — 3346 ქულა.

I ადგილი მოიპოვეს ესტონელებმა — 3557, II — რსფსრ-ს ნაკრებმა — 3514 ქულა.

ჩემპიონობა 136 ქულა ღირდა

ამას წინათ მოსკოვში გაიმართა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს მოზარდთა პირად-გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. წარმატება მოიპოვა საქართველოს გუნდმა (ძმები ნ. და ა. ჯავახიშვილები, ნ. ხუციშვილი და ი. ჯარიაშვილი). 11 უძლიერესი კოლექტივიდან ჩემპიონობისთვის უმთავრესად მოსკოვის I, ყაზახეთისა და საქართველოს გუნდები იბრძოდნენ.

პირველივე დღეს ჩვენებმა, რომლებმაც ფარიკაობაში კარგი შედეგები აჩვენეს, 300 ქულით გაუსწრეს მოსკოველებს. უამინდობის გამო მეორე დღეს ცხენოსნობა ცურვით შეცვალეს (წესით, ცურვა არ შეიძლება ხუთჭიდის მეორე სახეობა იყოს). ქართველი სპორტსმენები აქ მხოლოდ III ადგილს დასჯერდნენ.

სროლაში შედეგები საერთოდ დაბალი იყო. ამას ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს გუნდმა შესაძლებლობის მინიმუმი (2966 ქულა) მოაგროვა და მაინც II ადგილი დაიკავა.

ცხენოსნურ კროსში თავიდან საქმე ცუდად როდი მიდიოდა. ნ. ხუციშვილმა ფინიშთან 980 ქულა „მიიტანა“. მას არც ნ. ჯავახიშვილი ჩამორჩა — 905. მაგრამ ი. ჯარიაშვილს ბედმა უმტყუნა და ვერც ერთი ქულა ვერ მიიღო. არადა, 1000 შესაძლებლიდან 136 ქულა ჩემპიონობისთვის სრულიად საკმარისი იყო.

ცხენოსნობაში წარუმატებლობის შემდეგ საქართველოს წარმომადგენლებს მხოლოდ III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის შანსი შერჩათ, თუმცა მძლეოსნურ კროსში თუ ყველა მათგანი 1000 ქულაზე მეტს მიიღებდა, II ადგილზე გასვლაც შეიძლებოდა. ამ სახეობაში გუნდური პირველობაც ჩვენებმა ირლად მოიგეს (ი. ჯარიაშვილი — 1112 ქულა, ნ. ჯავახიშვილი — 1100, ა. ჯავახიშვილი, ნ. ხუციშვილი — 1052-1052).

ხუთი სახეობის შემდეგ პირად ასპარეზობაში ჩემპიონობა წილად ხვდა ხარკოველ ე. მიშნოვს — 4903 ქულა. ყაზახეთის წარმომადგენელს ა. ეგიშევს, რომელმაც 4790 ქულა მოაგროვა, მხოლოდ 14 ქულით ჩამორჩა III ადგილზე გასული ნ. ხუციშვილი.

დებულების თანახმად, გუნდას ყველაზე ახალგაზრდა წევრი მხოლოდ ოთხჭიდში (გარდა ცხენოსნობისა) გამოდიოდა. თანატოლებთან შეჯიბრებაში II საპრიზო ადგილი დაიკავა ა. ჯავახიშვილმა, რომელმაც 3470 ქულა მოაგროვა. მოსკოველმა ვ. მოისეევმა 3624 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. III ადგილზეა ლვოველი ი. მალახოვი — 3435.

საბოლოოდ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსკოვი I — 16231 ქულა, 2. საქართველო — 16096, 3. ყაზახეთი — 16057.

თ. გაჩეჩილაძე.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ა. ჯავახიშვილი შეჯიბრებისას.

ფოტო ავტორისა.

რაკეტინი სპორტიდან

მესტია

ამხანაგურ შეჯიბრებებში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და ლენტეხელი სპორტსმენები. ასპარეზობა როგორც ფრენბურთში, ისე ქართულ ჭიდაობაში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა.

ბ. მეეფლიანი.

ფრიადი, მაგრამ...

ლვოვი (ჩვენი კორ.). შარშანწინ იუნიორთა საკავშირო ტურნირში საქართველოს სპორტსმენებმა XI ადგილი დიაკავეს. ამჯერად ლვოვში, სადაც სიმპაბუკის I თამაშების პროგრამაში გაიმართა მორიგი ასპარეზობა, სამხრეთელებმა „სიმწიფის ატესტატზე“ გამოცდა ფრიადზე ჩააბარეს — V ადგილი დაისაკუთრეს.

შამდენიმე მარცხი რომ არა, მაინ უკეთესი შედეგების მიღწევაც შეეძლოთ. მოვიყვანოთ თუნდაც ერთი მაგალითი: ბოლო ვარჯიშისთვის (სამატჩო მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მ სროლა) საერთო გუნდურ ჩათვლაში რსფსრ-ს წარმომადგენლებს პირველობა, ხოლო უკრაინელებს II ადგილი პრაქტიკულად განაღდებული ჰქონდათ. III ადგილისთვის იბრძოდნენ საქართველოს, მოსკოვისა და ბელორუსიის კოლექტივები. საპრიზო ადგილების ბედიც, არსებითად, ამ ვარჯიშის შედეგებმა გადაწყვიტა. ჯულშემატკივართა ყურადღება თავიდანვე მიიპყრო ოსტატებისა და ოსტატობის კანდიდატების ი. დენსიუკის (ბელორუსია), ე. ელცოვის (რსფსრ), პ. სიბერის (ესტონეთი) შეჯიბრებამ.

პირველი სერიის შემდეგ 93 ქულით დაწინაურდა სიბერი. ყველასთვის მოულოდნელად II ადგილზე აღმოჩნდა 17 წლის თბილისელი რ. ჩიკვილაძე (მწვრთნელი ი. ხუციშვილი), რომელმაც 91 ქულა მოაგროვა. მეორე სერიამ ლიდერები გაათანაბრა, ვინაიდან ესტონელმა 88, ხოლო თბილისელმა 90 ქულა დააგროვა.

მესამე სერია. ღელავენ... მწვრთნელები. ხუციშვილი ღელავს იმიტომ, რომ მისი აღზრდილი ახლა 270-ს უტევს (ჩიკვილაძის მაჩვენებელი მანამდე 264 ქულა იყო). სხვებს ის აფიქრებთ, რომ ჩიკვილაძე ისვრის წყნარად, აუღელვებლად და მსაჯები მხოლოდ წითელი მაჩვენებლის დახმარებით არჩევენ „ათიანებსა“ და „ცხრიანებს“. საბოლოოდ — 94 ქულა. სიბერმა ამ სერიაში 3 ქულა წააგო. ამრიგად, ჩიკვილაძემ ჩემპიონობა მოიპოვა (275) და ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა.

საშუალო მაჩვენებელი ჰქონდა მის თანაგუნდელს, სოხუმელ ა. უზუნიანს (273 ქულა — 24-ე ადგილი). ამჯერად მან 10 ქულა დააკლო თავის საუკეთესო შედეგს. უმცროსი ასაკის მსროლელმა ვ. ადინინსკიმ კი, რომელსაც შ. გუჯარეიძე ავარჯიშებს, თავის მაჩვენებელს 5 ქულით გადააჭარბა, 265 ქულა დააგროვა და მხოლოდ 5 ქულა წააგო I ადგილზე გასულთან, ლიტველ ვ. ტურლესთან.

ძალიან ცუდად გამოვიდნენ 14 წლის ვ. მერკინა და სპორტის ოსტატი თ. კობოსნიძე (ორივე — თბილისის „დინამო“). მათ თავიანთი საშუალო შედეგებიც (შესაბამისად, 250 და 260) კი ვერ აჩვენეს: მერკინამ ახლა 227 ქულა დააგროვა, კობოსნიძემ — 237.

თვალი გადავავლოთ საერთო მაჩვენებლებს რესპუბლიკების მიხედვით. საქართველომ III ადგილისთვის ბრძოლაში სულ რაღაც 7 ქულით წააგო მოსკოვთან. ტყვიის სროლაში რსფსრ-მ საბოლოოდ 13.726 ქულა დააგროვა, უკრაინამ — 13.585, მოსკოვმა — 13.547, ბელორუსიამ — 13.542, საქართველომ — 13.541, ლატვიამ — 13.387. თბილისელ გოგონებს სამატჩო პისტოლეტით სროლაში 8 ქულით მეტი რომ მიეღოთ, გუნდი საერთო III ადგილზე გავიდოდა.

პირად ჩათვლაში ჩიკვილაძეს მხარი აუბეს პ. იაშვილმა (ქუთაისის „დინამო“) და თ. სვანიძემ (ქუთაისის დოსაფი), რომლებმაც პნევმატური შაშხანით 100 მეტრზე დგომეა 40 გასროლით ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. მერკინამ და ო. გუბნოვამ (რსფსრ) ერთნაირი შედეგი (564 ქულა) აჩვენეს მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლაში, მაგრამ მერკინა ნაკლები „ათიანების“ წყალობით ვერცხლის მედალს დასჯერდა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე (30+30) სროლაში ადინინსკიმ 574 ქულა დააგროვა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ი. ეუხოვიცკი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს გუნდის სპორტსმენები, რომლებმაც საპრიზო ადგილები მოიპოვეს (მარცხნიდან) — რ. ჩიკვილაძე, პ. იაშვილი, ვ. მერკინა, თ. სვანიძე, ვ. ადინინსკი.

ფოტო ლ. კუდრინისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ა“ ჯერი I ჯგუფი

ვეტერანთა გოლჯერი ჯეტოკაჯი

27 ივლისს შედგა მორიგი, XX ტურის მატჩები.

ყურადღების ცენტრში იდგა შეხვედრა მოსკოვში, სადაც ადგილობრივი „დინამო“ უთამაშა გათამაშების ლიდერს — „სპარტაკს“. ანგარიში დასაწყისშივე გახსნა დინამოელმა კოზლოვმა. ჰუსაინოვმა ტაიმის დამთავრებამდე გაქვითა ეს გოლი, მაგრამ შესვენების შემდეგ ლარინმა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა სპარტაკელთა კარში — 2:1.

უკიდურესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩი დონეცკში. ადგილობრივ „შახტიორსა“ და კიევის „დინამოს“ შორის. გაიმარჯვეს კიეველებმა—3:2, 2-2 ბურთი. „იატანეს კიეველმა ტურანიანი. ... და დონეცკელმა გლოდიანისმა. მესამე ბურთი საკუთარ კარში მოათავსა „შახტიორის“ მარჯვენა მცველმა პოლაკმა.

„ნეფტჩისა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შესვედრაში წინ იყვნენ ტორპედოელები (მიხაილოვი) და თანაფარდობა აღადგინა ლიოგკიმ —1:1.

ასეთივე ანგარიში იქნა ფიქსირებული ლუგანსკში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „ზარია“ და „ჩერნომორეცი“. ანანჩენკოს მიერ გატანილი გოლი გაქვითა ოდესელმა ზვენიგოროდსკიმ.

სენსაციური ანგარიშით დამთავრდა „პახტაკორისა“ და „ზენიტის“ შეხვედრა ტაშკენტში — 5:0. ტაშკენტელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა აბდურაიმოვმა მიმდინარე ჩემპიონატში მეორედ შეასრულა „ჰეტ-თრიკი“, ე. ი. ერთ მატჩში გაიტანა 3 ბურთი, აქედან ერთი — პენალტით. დანარჩენი 2 გოლის ავტორები არიან ვარიუხინი და ბეკეზეკი.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში მინდვრიდან გაძევებულ იქნა „ზენიტის“ ორი ფეხბურთელი — კოპინი და სადირინი.

„კაირატმა“ შინ დაამარცხა მინსკის „დინამო“, თუმცა დასაწყისში წინ იყვნენ სტუმრები (არზამასცევი). კვიჩინმა შესვენების შემდეგ ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 2:1.

ჩემპიონატის სნაიპერთა ერთპიროვნული ლიდერი კვლავ გახდა ბ. აბდურაიმოვი — 13 გოლი. 10-10 ბურთი აქვთ გატანილი ე. სტრელცოვს (მოსკოვის „ტორპედო“) და გ. ჰუსაინოვს.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

პასიური თამაშის შედეგი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 27 ივლისი.

„დინამო“ (თბილისი) — ასკ (როსტოვი) 0:0.

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, ცხოვრებოვი, სიჭინავა (გავაშელი), ასათიანი (ცუტივაძე), ხურცილავა, მეტრეველი, გ. ნოდია, მესხი.

ასკ: ივანოვი, მალიხა, გეტმანოვი, კრავჩენკო, აფონინი, კაზაჩოკი, პოპოვი (ბუროვი), რომანოვი, ლოპაევი, ესკოვი, კორნეევი.

მსაჯი ა. ბლადეი (დნეპროპეტროვსკი).

მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის ფინიშზე თბილისის „დინამოს“ საუცხოოდ ჰქონდა საქმე. მთავარი მხოლოდ ის კი არ იყო, რომ გუნდი მტკიცედ „იჯდა“ ლიდერთა ჯგუფში. ეს თავისთავად. დინამოელები თანდათან შედიოდნენ ნამდვილ საბრძოლო ფორმაში, სულ უფრო უსლოვდებოდნენ იმ სტაბილური თამაშის მაღალ დონეს, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი 15 ივლისის მატჩში მოსკოვის „ტორპედოსთან“.

ეს შეხვედრა ყველას გვახსოვს. თბილისის „დინამომ“ შესანიშნავად ითამაშა და მით უფრო გასაკვირი იყო მისი მომდევნო წარუმატებლობა კუიბიშევში, სადაც გუნდი ყოველად გაუმართლებლად დამარცხდა „კრილია სოვეტოვთან“. შეიძლება ეს წაგება შემთხვევითობისთვის მიგვეწერა, მაგრამ შემდგომი მატჩი თასზე წაგებულ იქნა მეორე ეშელონის წარმომადგენელთან—სვერდლოვსკის „ურალმაშთან“, ხოლო განვლილი შაბათის თამაშმა როსტოვის არმიელებთან თბილისის სტადიონზე ცხადყო, რომ ლაპარაკი სტაბილურ, მაღალ სპორტულ ფორმაზე ჯერ ადრეა.

როსტოველებმა სულ მალე მიაღწიეს იმას, რაც სურდათ. მათი უპირველესი მიზანი იყო გამოეთიშათ თამაშიდან დინამოელთა წამყვანი ფორვარდი მეტრეველი. საამისოდ საგანგებო დავალება მიეცა აფონინს და ახალგაზრდა მცველმაც პირნათლად შეასრულა ეს ძნელი ამოცანა. მართალია, საამისოდ მას რამდენიმეჯერ დაჭირდა აკრძალული ხერხებიც არსენალიდან ესესხა ზოგიერთი ელემენტი, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მიზანი ზოგჯერ ამართლებს საშუალებას და აფონინმა ასეთი საშუალებით გამორთო თამაშიდან მეტრეველი.

ულიდერობა მაშინვე მძიმედ დაეტყო თბილისის „დინამოს“. ორგანიზატორის როლის შესრულება წინა ხაზზე ვერავინ ითავა. მესხმა თავისი როლი დაიყვანა იქამდე, რომ მთლიანად შეაწირა 90 წუთი მალიხასთან „პირად ურთიერთობათა“ გამორკვევას, მთელი თამაში ინდივიდუალურ გარღვევაზე გასვლას მოანდომა და გარდა იმისა, რომ ფაქტიურად გამოთიშული იყო კოლექტიურ მოქმედებათა გეგმას, ვერც ეს „ვიწრო“ ამოცანა შეასრულა.

ასეთ პირობებში თამაშის სადავეები ხელთ უნდა ეგდო ნახევარდაცვას, რომელიც ამ დღეს ასეთი სოლიდური შემადგენლობით გამოიყურებოდა: ხურცილავა, სიჭინავა, ასათიანი. არც აქ გამოვიდა რამე. ხურცილავას გამთამაშებელი ჰავბეკის ფუნქციების შესრულებაზე არც უფიქრია, ასათიანი აბსოლუტურ გულგრილობით და ინერტულობით ადევნებდა თვალს, თუ როგორ ფლობდნენ ინიციატივას მინდვრის შუაგულში როსტოველები, ხოლო სიჭინავას თამაში საერთოდ გაუგებარი იყო. ბურთის გაჩერება და ზედმეტი, ყოვლად უსარგებლო ტარება იქ, სადაც ყველაფერი უნდა გაკეთდეს სწრაფად, ოპერატიულად, წამის დაუკარგავად, მისთვის კანონად იქცა. თავდამსხმელები სიჭინავასგან გადაცემას ღებულობდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მოწინააღმდეგე დაცვა მთელი შემადგენლობით ასწრებდა ძალთა გადაჯგუფებას და საჭირო პოზიციების დაკავებას. სიჭინავას წამოწყებულ კომბინაციებში სრულიად გამორიცხულია მოულოდნელობისა და სიმწვავის ფაქტორი. იგი სისტემატურად აყოვნებს შეტევის განვითარებას.

ხეირიანად ითამაშა მხოლოდ დაცვამ, განსაკუთრებით, ძოძუაშვილმა. მან უფრო მეტი ხიფათი შექმნა როსტოველთა კართან, ვიდრე ზოგიერთმა ჩვენმა ფორვარდმა, თუმცა ერთი შემრნევა მის მიმართაც უნდა გავაკეთოთ. ძოძუაშვილი კარგად ერთვის შეტევას და მოულოდნელ გარღვევაზე გადადის მარჯვენა ფლანგზე, მაგრამ ბოლო გადაცემას ასრულებს არა სახიფათო ზონაში, ცენტრში, არამედ შორს, მარცხენა ფლანგისკენ, სადაც ამ დროს არ იმყოფება არავინ. ამის გამო მისი კარგი მანევრები ფუჭად მთავრდება ხოლმე.

კარში საამედოდ ვერ იდგა ურუშაძეც. სანერვიულო და საშიში ამ მატჩში მას არაფერი ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი მეკარე თითქმის მუდამ უშვებდა ხელიდან უკვე აღებულ იოლ ბურთებს.

ერთი სიტყვით, თბილისის „დინამოს“ თამაში არ გამოუვიდა. როსტოველებმა საკუთრით დამსახურებულად აიღეს ქულა ამ მატჩში.

რ. ჟორიჟე.

* * *

სურათზე: დინამოელთა მცველი რ. ძოძუაშვილი იწყებს როსტოველთა კარის იერიშს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

აუტსაიდერთა შეხვედრა

ერევანი. რესპუბლიკური სტადიონი. 27 ივლისი.

„არარატი“ (ერევანი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0 (0:0).

„არარატი“: ჯემირჩიანი, თოვმასიანი, აბრამიანი, ოვსეპიანი, მესროპიანი, ავანესოვი, ეგიაზარიანი, ზანაზანიანი, მელქუმოვი, კოვალენკო (კაზაჩიანი), კაზარიანი.

„ტორპედო“: კვასხვაძე, წვერავა, ებრალიძე, ზერგელაშვილი, ჩხაიძე, ასიტაშვილი (ბოლაძე), ზარია, ნაჭყუბია, ვეკუა, ხაუალია, ბითანავა.

დუბლიორები — 3:1 „არარატის“ სასარგებლოდ.

ქუთაისის „ტორპედოს“ წლევანდელი წარუმატებლობა ძალზე აწუხებს მათ, ვისაც უყვარს ეს თავისებური და საინტერესო სტილის გუნდი. მთელ რიგ შემთხვევაში ტორპედოელებმა დაუმსახურებლად, შემთხვევით დაკარგეს ქულები. მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში არც „არარატია“. შარშანდელი ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში ეს გუნდი VIII ადგილზე იყო, წლეულს კი იგი კარგა ხანია აუტსაიდერთა რიგებშია და ვერ გამოუსწორებია მდგომარეობა.

ამიტომ აუტსაიდერთა ბრძოლა მეტისმეტად დაძაბული იყო. მისი შედეგით უაღრესად დაინტერესებული გახლდათ ორივე გუნდი.

მწვავე ბრძოლის შემდეგ გამარჯვება წილად ხვდათ მასპინძლებს. ერთადერთი ბურთი 67-ე წუთზე გაიტანა ეგიაზარიანმა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 ივლისისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

„ა“ ჯერი I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	21	12	8	1	30—13	32
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	20	13	4	3	36—19	30
„დინამო“ (თბილისი)	20	8	9	3	18—6	25
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	20	9	7	4	22—12	25
„ტორპედო“ (მოსკოვი)	20	8	8	4	33—20	24
ცსკა	20	9	6	5	24—16	24
„დინამო“ (მინსკი)	20	8	7	5	21—16	23
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	20	6	10	4	20—24	22
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	20	6	9	5	21—24	21
„დინამო“ (მოსკოვი)	21	7	6	8	23—23	20
„ნეფტჩი“ (ბაკო)	20	6	7	7	19—18	19
„შახტიორი“ (დონეცკი)	20	5	9	6	20—21	19
„არ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	20	6	6	8	13—14	18
„ზარია“ (ლუგანსკი)	21	5	8	8	12—24	18
ასკ (როსტოვი)	20	5	6	9	22—30	16
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	20	5	6	9	22—34	16
„კაირატი“ (ალმა-ათა)	20	5	5	10	15—21	15
„არარატი“ (ერევანი)	20	5	5	10	14—22	15
„დინამო“ (ციროვაბადი)	20	2	7	11	9—22	11
„ტორპედო“ (ქუთაისი)	21	3	5	13	13—28	11

კანდიდატები დაასახელეს

24 ივლისს ციურიხში (შვეიცარია) შედგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სასელექციო კომიტეტის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ფიფა-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი ვ. ა. გრანატკინი.

ციურიხიდან დაბრუნების შემდეგ გრანატკინს ესაუბრა „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი.

● **როგორი იყო სხდომის დღის წესრიგი?**

— კომიტეტმა განიხილა საკითხი ფეხბურთის მატჩის ჩატარების თაობაზე ფიფა-სა და ბრაზილიის ნაკრებ გუნდებს შორის, რომელიც ეძღვნება ბრაზილიის სპორტის ფედერაციის შექმნის 50 წლისთავს.

● **კიდევ ვინ შედიოდა კომიტეტის შემადგენლობაში?**

— ევროპიდან ბარჩი (უნგრეთი), კევანი (ჩრდილოეთ ირლანდია) და ა. ფრანჩი (იტალია), სამხრეთ ამერიკიდან გონი (ჩილი) და ნოცეტი (არგენტინა).

● **რა პრინციპით ხდებოდა კანდიდატთა წარდგენა?**

— ასახელებდნენ სხვადასხვა ქვეყნის წამყვან ფეხბურთელთა სახელებს, ამასთან, მხედველობაში ღებულობდნენ ამ მოთამაშეთა წვლილს მსოფლიო ფეხბურთში, აგრეთვე, მათს პოპულარობას საზღვრეთ ამერიკაში. კერძოდ, ბრაზილიაში ფართოდ ცნობილია ლევ იაშინის, სლავა მეტრეველისა და ალბერტ შესტერნიოვის სახელები. შემთხვევითი არაა, რომ სამივენი მოხვდნენ 60 კანდიდატის სიაში.

● **ვინ დანიშნეს ფიფა-ს ნაკრების მწვრთნელად?**

— ეს მოვალეობა დაეკისრა ფიფა-ს მწვრთნელს დეტმარ კრამერს (გფრ), რომელიც ამჟამად ცენტრალურ ამერიკაში მუშაობს.

● **როდის დამტკიცდება საბოლოოდ ფიფა-ს ნაკრების შემადგენლობა?**

—სასელექციო კომიტეტის სხდომაზე მექსიკაში, წლეულს ოქტომბერში. ეროვნულ ფედერაციათა თანხმობის მიღების შემდეგ დასახელებულ ფეხბურთელთა სიაში შეყვანის თაობაზე, კომიტეტი განსაზღვრავს ძირითად შემადგენლობის, რომელშიც შევა 16 მოთამაშე და, აგრეთვე, დამატებითებს სარეზერვო მოთამაშეთა სიას.

● **როდის და სად შედგება მატჩი?**

— 6 ნოემბერს „მარაკანას“ სტადიონზე რიო-დე-ჟანეიროში.

დასასრულ მოგვყავს 60 კანდიდატის სია: ალბრეხტი, ბერნაო, კუტიცე, კოკო, მადეირო, მალბერნარი, ერმინდო, ონეგა, მასი, მარზოლინი, პერფიუმო, რენდო, სილვა, ვერონი (ყველა — არგენტინა), ვან ჰიმსტი (ბელგია), ასპარუზოვი (ბულგარეთი), გუნნტანო, რეინოსო (ორივე — ჩილი), ადამეცი, ვიქტორი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ბოლი, ბენჭ�sი, ბ. ჩარლტონი, მური, უილსონი (ყველა—ინგლისი), ბოსკიე, ჯორკეფი, გონდე, ერბენი (ყველა—საფრანგეთი), ბეკენბაუერი, შნელინგერი (ორივე — გფრ), ფოგელი (გფრ), ალბერტი, ბენე, ფარკაში, სიუჩი (ყველა — უნგრეთი), ბუსტი, (ჩრდ. ირლანდია), ლომენგინი, ფაკეტი, მაცოლა, რივერა (ყველა—იტალია), ჩუმპიტასი (პერუ), აუგუსტო, ეუსებიო, სიმოესი (სამივე — პორტუგალია), პირკალაბი (რუმინეთი), ჯონსტონი, ლოუ, ლენოქსი (სამივე—შოტლანდია), ამანსიო, რუბინი (ორივე—ესპანეთი), მეტრეველი, შესტერნიოვი, იაშინი (სამივე—სსრ კავშირი), მაზურკევიჩი, მონტერო-კასტილო, როჩა, ვილარი (ყველა — ურუგვაი), ჯაჩი, ფაზლაგიჩი, ოსიმი (სამივე — იუგოსლავია).

3 „ოქროს ქულით“

ფრუნზეში და კრასნოდარში დამთავრდა „ა“ კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის I წრე (3 ეტაპი). ჩვენი გუნდი კრასნოდარში ასპარეზობდა.

თბილისელ სპორტსმენებს პირველივე ტურში ბედმა უმტყუნა. ტაშკენტს „სპარტაკთან“ შეხვედრისას პარტიებში ისინი დაწინაურდნენ (2:1), მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და ანგარიში გათანაბრდა. გადამწყვეტ პარტიაში ჩვენები გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ (9:2), მაგრამ ბოლოს სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ — 14:16.

საქართველოს ფრენბურთელებმა დანარჩენ შეხვედრებში უკეთ ითამაშეს და ასპარეზობის ფინალში 3 „ოქროს ქულით“ გავიდნენ. მათთან ერთად უმაღლესი ლიგის საგზურებისთვის კრასნოდარის ჯგუფიდან იბრძოლებენ ტაშკენტის „სპარტაკისა“ და სვერდლოვსკის „ავანგარდის“ ფრენბურთელები, რომელთაც აგრეთვე 3-3 „ოქროს ქულა“ აქვთ. ფრუნზეს ქვეჯგუფიდან მათ შეუერთდებიან „სპარტაკი“ (დონეცკი), ვორონეჟისა და კრასნოდარის დინამოელები.

ფინალური შეხვედრები აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყება ლვოვში. I ადგილზე გასული გუნდი უმაღლეს ლიგაში გადადის. ის გუნდები, რომლებიც II და III ადგილებს დაიკავებენ (წინასწარი თამაშების შედეგები ჩაითვლება), უმაღლეს ლიგაში XI ადგილზე გასულ გუნდთან ერთად (XII ადგილზე გასული მეორე ეშელონში გადადის) პირველი ლიგის მეორე საგზურისთვის იბრძოლებენ.

კრასნოდარში გათამაშდა სპეციალური პრიზები მათთვის, ვინც შეჯიბრებაში თავს გამოიჩენდა. ერთ-ერთი ჯილდო ტრადიციულად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ხვდა. აჭარად მისი მფლობელია ვ. ხამურატიდი, რომელიც დაცვის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ფ. ლეონიძე.

რუდენსკის მეოთხე მედალი

ორიოლი, 27 ივლისი. პლანერისტთა აქ მიმდინარე საკავშირო პირად-გუნდური პირველობაში კვლავ წარმატება მოიპოვა უკრაინელმა სპორტსმენმა ე. რუდენსკიმ. იგი პირველი იყო ურთულეს ვარჯიშში — 300-კილომეტრიანი სამკუთხა მარშრუტით სწრაფფრენაში. რუდენსკიმ თავისი „ბლანიკით“ 4 საათში, 1 წუთსა და 4 წამში გაიარა სასპარეზო მანძილი. ეს მისი მეოთხე ოქროს მედალია ამ ჩემპიონატში. ფინიშთან 54 პლანერისტი მივიდა. ყველა მათგანმა ან დაიმტკიცა, ან მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდების ტარების უფლება.

ქალებში ჩემპიონობა მოლდაველთის წარმომადგენელმა ლ. კლიუევამ დაისაკუთრა.

გუნდურ პირველობას უკრაინელი პლანერისტები ინარჩუნებენ.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲭᲔᲡᲘ

● **ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲘ**, 27 ივლისი. საბჭოთა კავშირში თავისი ტურნეს მეოთხე მატჩი გამართა აქ. იაპონიის ფეხბურთელთა ოლიმპიურმა ნაკრებმა და მეოთხედ დამარცხა: ამჯერად ადგილობრივ „მოლდოვასთან“ — 2:3.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**, 28 ივლისი. აკადემიურ ნიჩბოსანთა საკავშირო პირველობაში სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ივანოვმა მხოლოდ III ადგილი დიკავა. უძლიერესის წოდება მოიხვეჭა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტმა, 24 წლის ვ. მელნიკოვმა. კარგად მომზადებული აღმოჩნდნენ სსრ კავშირის ნაკრების მონაწილენი: ვეტერანები ა. სასი და ა. ტრიმოშინინი, რომლებმაც წყვილმოსასხელიანებში გაიმარჯვეს, აგრეთვე, უმესაჭო ოთხიანი მომამელ ვ. ბარკანსის (რიგა) მეთაურობით და რვიანი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ზ. იუკნა.

● **ᲠᲘᲒᲐ**, 28 ივლისი. იუგოსლავიის ამ ქალაქში დასასრულს უახლოვდება „სოლიდარობის შეხვედრები“ — საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ამ შეჯიბრების მონაწილე ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატი სავონი, როგორც ჩანს, ჩვენში 33-ე დიდოსტატი გახდება. იგი ლიდერთა ჯგუფშია.

● **ᲡᲘᲔᲢᲚᲘ (ᲐᲨᲨ)**, 28 ივლისი. ამერიკელმა ჯეკ პორსლიმ მოხსნა 1964 წელს ავსტრალიელი მ. როუზის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი 880 იარდზე (804 მ) თავისუფალი სტილით ცურვაში. ახალი რეკორდია 8.51.8.

ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ, 29 ივლისი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). გუშინ აქ დამთავრდა საკავშირო პროფკავშირების ფეხბურთელთა ჩემპიონატი. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონის ვინაობა გაარკვია მოსკოვის „ტორპედოსა“ და უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრამ. სტუდენტებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს თანაქალაქელი ავტოქარხნელები (9:3) და დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილი.

III ადგილი წილად ხვდა მოსკოვის „ლოკომოტივს“.

ტბილისის გუნდებმა — „ბურევესტნიკმა“ (მწვრთნელი ზ. ჩაჩავა) და „ლოკომოტივმა“ (გ. ნიორაძე) შესაბამისად IV-V ადგილები დაიკავეს.

ჩვენი სტუდენტების შედეგი წარმატებად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ამგვარ შეჯიბრებებში მათ კარგა ხანია მოკრძალებული ადგილები უჭირავთ. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ზ. ჩაჩავამ ორი წლის მანძილზე მართლაც მონოლითური კოლექტივის შექმნა შეძლო.

თბილისის „ლოკომოტივი“ ატესტაციას არ საჭიროებს: ამ გუნდის წევრები ხომ რკინიგზელთა 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები არიან! ეს კოლექტივი წლების მანძილზე მონაწილეობს „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების შეჯიბრებებში. სამწუხაროდ, პროფკავშირთა ტურნირში ლოკომოტიველებმა უთანაბროდ ითამაშეს. ახლა მათი ამოცანაა სათანადოდ მოემზადონ რკინიგზელთა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომლის გამართვა განზრახულია 1969 წლის ზაფხულს თბილისში.

დ. იმედაძე.

ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲜ

უკვე რამდენიმე დღეა, რაც სსრ კავშირში სტუმრად იმყოფებიან იაპონიის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა ოლიმპიური გუნდები. გასულ შაბათს საბჭოთა კავშირის ქალთა ოლიმპიურმა ნაკრებმა სტუმრებთან მეორე მატჩი გამართა რიგაში და ისევ გაიმარჯვა, ამჯერად ანგარიშით 3:1, (9:15, 15:7, 15:10, 15:8). ამ მატჩში საბჭოთა ფრენბურთელების წინააღმდეგ სტუმრების ძირითადი შემადგენლობა იბრძოდა.

ვაჟთა გუნდებმაც შაბათს იასპარეზეს კიევში. სსრ კავშირის ნაკრებმა ამომავალი მზის ქვეყნის გუნდი ოოლად დაამარცხა — 3:0 (15:9, 15:13, 15:5).



საჭვრიტნელი ვარჯიშის შემდეგ.

ფოტოტიუდი მ. დათიკაშვილისა.

ᲓᲔᲡᲐᲜᲢᲘ ᲞᲐᲛᲘᲠᲖᲔ

ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 28 ივლისი. გუშინ პამირზე, მსოფლიოს ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალის — ლენინის პიკის ფერდობებზე თვითმფრინავებით გადაიყვანეს საბჭოთა პარაშუტისტების ორი ჯგუფი. მათი მიზანი იყო დაშვებულიყვნენ ზღვის დონიდან 6 და 7 ათასი მეტრის სიმაღლეზე.

დესანტში 45 კაცი იყო. მამაცმა მთამსვლელმა-პარაშუტისტებმა ეს ღონისძიება ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

პამირიდან მიღებულ რადიოგრამაში ნათქვამია, რომ პარაშუტისტთა პირველი ჯგუფი (35 კაცი), რომელსაც ცნობილი სპორტის ოსტატი ვ. მოროზოვი ხელმძღვანელობს, დაეშვა ლენინის პიკის პლატოზე — ზღვის დონიდან 6100 მ სიმაღლეზე. მეორე ჯგუფი (10 კაცი) მსოფლიო რეკორდსმენის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ა. პეტრიჩენკოს ხელმძღვანელობით ასევე წარმატებით დაეშვა ლენინის პიკის დასავლეთ თხემზე — ზღვის დონიდან 7100 მეტრზე.

სპორტის ოსტატის, ცნობილი მთამსვლელის ვ. რაცეკის აზრით, რომელიც პარაშუტისტთა პირველ ჯგუფს შეხვდა, ამ უპრეცედენტო კოლექტიურ ხტომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიერიდან გასაჭირში ჩავარდნილ მთამსვლელებს პარაშუტისტების იმედი ექნებათ. პამირელთა გამოცდილებას მაშველი ჯგუფების მუშაობის პრაქტიკაში გამოიყენებენ.

(საკდესი).

ᲑᲝᲚᲝ ᲚᲐᲥᲐᲪ ᲒᲐᲥᲠᲐ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 29 ივლისი (**ტელეფონით, ჩვენი კორ.**). ტყვიის მსროლელთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელმაც მეხიკოს ოლიმპიადის კანდიდატები უნდა დაასახელოს, მონაწილეებმა წარმატებით შეუტიეს საკავშირო რეკორდებს. „გაქცეულ ირემზე“ 50 ერთმაგი გასროლით გუნდურ ჩათვლაში დოსაააფელებმა ი. ნიკიტინმა, ვ. პოსტოიალოვმა, ა. კუცონეცმა და გ. სოტსკოვმა 9 ქულით გაუმჯობესეს ძველი საკავშირო რეკორდი — 919 ქულა. პირად ჩათვლაში ოქრო წილად ხვდა ნიკიტინს (236 ქულა), ვერცხლი — სოტსკოვს (232), ბრინჯაო — კუცონეცს (232).

მეორე რეკორდი სილუეტებზე სწრაფსროლაში დამყარდა. სახმელეთო ჯარების გუნდის წევრებმა ა. ონიშჩუკმა (592), ე. კალეგიჩმა (591), ი. ბაკალოვმა (594) და რ. სულეიმანოვმა (591) საბოლოოდ 2368 ქულა დააგროვეს. ეს 5 ქულით სჯობს ძველ მიღწევას, რომელიც შარმანდლიდან ეკუთვნოდა უკრაინის გუნდს.

ქალებში ეს ეარჯიში მოიგო რ. მადისომ (დოსააფი) — 589 ქულა (სსრ კავშირის რეკორდის გამეორება). მისმა გუნდმა 1754 ქულა მოაგროვა და 8 ქულით გადააჭარბა ძველ რეკორდს, რომელიც 3 წლის წინათ რსფსრ-ს ნაკრებმა დაამყარა.

დოსაააფის სპორტსმენებმა წაშალეს გუნდური რეკორდების ცხრილში დარჩენილი ერთადერთი თეთრი ლაქაც — „გაქცეულ ტახზე“ სროლაში მოაგროვეს 1331 ქულა, რაც 1 ქულით აღემატება რეკორდების სარეგისტრაციო ნორმატივს.

ჩემპიონატში მონაწილე სხვადასხვა გუნდში საქართველოს 11 მსროლელი გამოდის. ქველაშვილისა და ყამურაშვილის წარმატება უკვე შეგაყობინეთ. ცოტაც დ, მათ გვერდში ამოუდგებოდა ლ. ყურულიც. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) წოლილა მდგომარეობიდან სროლაში მას არც ერთი ქულა არ დაუკარგავს და ლ. მეშჩერაკოვასთან ერთად ლიდერობდა, მაგრამ ჩოქელა და დგომელა სროლაში უპირატესობა ხელიდან გაუშვა და სამეულში ვერ მოხვდა. ჩემპიონობა მოიპოვა ტ. ჩერკასოვამ — 571.

ე. ᲒᲝᲚᲙᲝᲕᲘ.

„ᲪᲮᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ“

ეროვნული თამაში ცხენბურთი საქართველოში ადრიდანვე ძალიან გავრცელებული ყოფილა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დიპლომანტმა ნ. ბანძელაძემ თავისი სადიპლომო შრომა სწორედ ამ ლამაზ, სხარტ თამაშს უძღვნა. მისი სკულპტურული კომპოზიცია „ცხენბურთი“ მოწონებას იმსახურებს შესრულების მაღალი ტექნიკით.

ავტორს კომპოზიციისთვის შეურჩევია მომენტი, როცა ცხენი შეერთვისთვის ემზადება, მხედარი კი წამით შეეყოვნდა და მორიგ რთულ ტაქტიკურ ილეთს ასრულებს.

ლ. ᲒᲐᲩᲐᲕᲐ,

თბილისის სამხატვრო აკადემიის ფიზიკურზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.

ᲓᲔᲙᲔᲨᲐ ᲒᲖᲘᲓᲐᲜ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲙᲝᲜᲬᲠᲝᲚᲝᲨᲘ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 28 ივლისი. ლენინური კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვების“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ველოსიპედშერბილობის (თბილისი — ბრესტი) მონაწილეებმა — თბილისის მ. თოიძის სახელობის მე-11 პროფტექსასწავლებლის სპორტსმენებმა მეორე საკონტროლო პუნქტიც წარმატებით გავიარეთ. ლაშქრობა გრძელდება.

Ჯ. ᲑᲘᲠᲒᲘᲓᲝᲕᲘ,

ლაშქრობის ხელმძღვანელი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲰᲘᲓᲔ ᲙᲣᲢᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ

ᲗᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი ნ. ჰიდეგკუტი სხვადასხვა დროს წარმატებით წვრთნიდა ცნობილ კლუბებს „ფიორენტინას“, „მანტოვას“ და „დიერს“. უკანასკნელი სეზონის მანძილზე ჰიდეგკუტი მტკ-ს (ბუდაპეშტი) მწვრთნელი იყო.

მტკ, რომელიც ადრე არაერთგზის ყოფილა უნგრეთის ჩემპიონი, ბოლო სეზონში ხხოლოდ X ადგილზე გამოვიდა. ამას მიმომხილველები თამამთა ცვლის პროცესით ხსნიან, მაგრამ მტკ-ს მესვეურებს ამის გაგონებაც არ სურთ. როგორც ყოველთვის, ჯოხი ახლაც მწვრთნელზე გადატყდა და საქმეც ჰიდეგკუტის გადადგომით დამთავრდა.

ᲛᲐᲙᲠᲝᲙᲝᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ თამაშების საფეხბურთო ტურნირში მაროკოს ნაკრებს გამოსვლა უწევს II ჯგუფში, სადაც მათ გარდა არიან უნგრეთის, სალვადორისა და ისრაელის გუნდები.

ამ დღეებში მაროკოელებმა შეჯიბრების ორგანიზატორებს მოთხოვეს სხვა ჯგუფში გადაყვანა, ვინაიდან მაროკო, ისევე როგორც ყველა სხვა არაბული ქვეყანა, ბოიკოტს უცხადებს ისრაელს და არ სურს მასთან შეხვედრა სპორტულ სარბიელზე.

ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲗ...

ᲛᲔᲠᲐᲒᲐᲚᲒᲖᲘᲜᲘ ცდა ამერიკის მეერთებულ შტატებში ფეხბურთის მეტი პოპულარიზაციისთვის ჯერჯერობით უნაყოფოა. ქვეყნის ჩემპიონატში გამოდის ჩიკაგოს გუნდი „მუსტანგები“. მასში ევროპიდან კარგი ოსტატები მიიწვიეს, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაინტერესეს მაყურებელი. ამ 8-მილიონიან ქალაქში სტადიონზე მოდის... 1000-2000 მაყურებელი.

ახლა „მუსტანგების“ კლუბის ხელმძღვანელობამ დიდი აგიტაცია გაიჩაღა მაყურებლის მისაზიდად. მან განაცხადა, რომ რამდენიმე უფასო სანახაობას მოაწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, თუ მაყურებლები ფეხბურთის აბონემენტებს შეიძენენ. ასეთ პირობებში გაიყიდა 3.126 აბონემენტი, რაც გარკვეულ მიღწევად მიიჩნიეთ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● **ᲞᲠᲐᲰᲐ.** „მიტროპის თასის“ ფინალი „სპარტაკსა“ (ტრნავა) და „ცრვენა ზვეზდას“ (ბელგრადი) შორის 2 მატჩისგან შედგება. პირველი გაიმართება 21 აგვისტოს ტრნავაში, ხოლო მეორე — ერთი კვირის შემდეგ ბელგრადში.

● **ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ.** „ტოტენჰემ ჰოტსპერი“ შეუდგა ახალი დიდი სტადიონის მშენებლობას. იგი 80 ათას მაყურებელს დაიტევს.

● **ᲡᲐᲜᲢ-ᲘᲐᲒᲝ.** ხანგრძლივი მოლაპარაკება მწვრთნელ ფ. რიერასა და ჩილის ფეხბურთის ფედერაციას შორის უშედეგოდ დამთავრდა. რიერას მიაჩნია, რომ მის საქმეში ერევიან არაკომპეტენტური პირები და ნაკრებში მუშაობას არავითარი აზრი არა აქვს. ფედერაცია თავის მხრივ რიერას ზედმეტ ჰერეფულობას აბრალებს. ჩილის ნაკრების მწვრთნელად რიერას ნაცვლად მოწვეულია არგენტინელი ს. ნოლეტი.

● **ᲚᲣᲥᲡᲔᲛᲑᲣᲠᲒᲘ.** აქაურმა ჟურნალისტებმა ლუქსემბურგის № 1 ფეხბურთელად გამოაცხადეს ფ. ეიტცი, რომელიც ახლა თამაშობს საფრანგეთის კლუბ „მეცში“.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

„ლელოს“ რედაქცია გადავიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის შენობის ახალ კორპუსში (შესასვლელი ბელინსკის ქუჩიდან). ჩვენი ტელეფონებია: სამდივნოსი — 93-95-30, მასობრივი ფიზკულტურის განყოფილების, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებისა — 93-95-14, ფეხბურთის განყოფილებისა — 93-95-41, წერილების სექტორისა—93-95-40, ლიტმუშაკებისა—93-95-11, ფოტოლაბორატორიისა — 93-95-16.